საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ბატონ თეიმურაზ ბაბუნაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს–ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანატი, საერთაშორისო რეცენზირებადი და სამეცნიერო ჟურნალის „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემების" სარედაქციო კოლეგია ულოცავს საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიას, მის წევრებს დაარსებიდან ორი ათეული წლის იუბილეს და უსურვებს წარმატებებს ქართული მეცნიერული აზრის განვითარებისა და ჩვენი სამშობლოს აღორძინებისათვის მუხლჩაუხრელ მოღვაწეობაში ბიზნესის განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და აღმსენებლობის საქმეში.

რეალობაა, რომ XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის დასაწყისში ზოგადად მეცნიერება და კერძოდ, ეკონომიკური მეცნიერება დადგა დიდი გამოწვევების წინაშე, რადგან მბრძანებლურ ადმინისტრაციულ ეკონომიკაზე დამყარებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ვერ აკმაყოფილებდა ახალ მოთხოვნებს. ამიტომაც დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური მეცნიერების და პრაქტიკის სწრაფი განვითარების აუცილებლობა. ამ ამოცანის განუხრელად განხორციელებისათვის ეფექტიანი გზა იყო არსებული მაღალკვალიფიციური მეცნიერთა და სპეციალისტთა ძალისხმევის გაერთიანება და სწორი მიმართულების მიცემა. ამ იდეის წარმატებით განხორციელებისათვის დიდი შრომა გაწიეს ახალ შექმნილმა ორგანიზაციებმა, რომელთა შორის ერთ–ერთი პირველთაგანი იყო „საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია",რომელსაც სათავეში ჩაუდგა ღვაწლმოსილი ცნობილ მეცნიერთა და სპეციალისტთა ძალისხმევის გაერთიანებისა და საგნობრივად წარმართვის საქმეს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აკადემიამ და მისმა პრეზიდიუმმა უზრუნველყო საქართველოს გამოჩენილ ეკონომისტ–მკვლევართა და მაღალი კვალიფიკაციის გამოცდილი კადრების გაერთიანება, კომპლექსურად წარმართა მუშაობა პრობლემების დამუშავების მიმართულებით. აკადემიაში ჩამოყალიბდა ბიზნესის თეორიის, სამართლის, მენეჯმენტის, მოდელირებისა და პროგნოზირების, სავაჭრო–ეკონომიკური და სხვა სფეროების მართვის განყოფილებები.

აკადემიის საქმიანობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალი იდეების გენერირებას და ტირაჟირებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს „ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული, საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა სხვა აკადემიებთან, რომელთა შორის კავშირები დღენიადაგ ვითარდება ამჟამადაც.

გილოცავთ აკადემიას საიუბილეო თარიღს და გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ ბიზნესის აკადემია, მისი წევრების ერთიანი ძალისხმევით წონად წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების საქმეში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანატი და საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალის „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები" სარედაქციო კოლეგიის სახელით
ვახტანგ დათაშვილი და
პარმენ ლემონჯავა

ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. რეგისტრირებულია თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ. რეგისტრაციის №19181.
რედაქტორის ტელ.: 2-36-51-16; 2-36-43-78; 599-33-53-92.
web: socialuri-economica.bpengi.com; www.socialuri-economica.ge
e-mail: social_economica@mail.ru; socialuri-economica@bpengi.com

გადაეცა ასაწყობად 25.02.15.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.02.15.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 30,37.

ტექნიკური რედაქტორი და კორექტორი: ნანა სახეჩიძე
სტილური რედაქტორი: ბადრი ცხადაძე
კორექტორები: თინა ცისკარიშვილი, ნანა ბოლქვაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი: ზურაბ წერეთელი